რუსეთ-აფრიკის ფორუმის ფარგლებში აფრიკის საპატრიარქოს საეგზარქოსო სესია გაიმართა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.07.2023. 28 ივლისს, რუსეთ-აფრიკის ეკონომიკური და ჰუმანიტარული ფორუმის ფარგლებში, სანკტ-პეტერბურგში გაიმართა აფრიკის საპატრიარქოს საეგზარქოსოს პანელური სესია „აფრიკის სახელმწიფოების განვითარების რელიგიური კომპონენტის განვითარება დინამიურად ცვალებად სამყაროში".

მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რუსეთის მუსლიმთა სულიერი კრების მუფთი ა.რ. კრგანოვი; რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში ა.ლ. ავეტისიანი; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანი ქრისტიანთაშორისი ურთიერთობის საკითხებში მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი); მედიაჰოლდინგის – „ზვეზდა“ ანალიტიკური რადიო-პროგრამების დირექციის ხელმძღვანელი, ტელარხ „სპას“-ის წამყვანი, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს წევრი ა.ბ. შაფრანა; სანკტ-პეტერბურგის

სასულიერო აკადემიის საერთაშორისო განყოფილების გამგე დეკანოზი დიმიტრი სიზონენკო; ტანზანიაში აფრიკის საპატრიარქოს საეგზარქოსოს კლირიკოსი არქიმანდრიტი ზაქარია (მულინგვა).

სესიის მოდერატორმა, აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსმა, კლინის მიტროპოლიტმა ლეონიდემ გახსნა მრგვალი მაგიდა მოხსენებით „აფრიკის სახელმწიფოების განვითარების რელიგიური კომპონენტი დინამიურად ცვალებად სამყაროში“, **ნათქვამია** მიტროპოლიტ ლეონიდეს ტელეგრამარხზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90580/